

პრესრელიზი

"საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაცია" დროებით (2 თვე) წყვეტს პროექტში "კომპიუტერი ყველა სოფელს" მონაწილეობას.

„საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაცია“, როგორც კომპიუტერის ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების ერთ–ერთი დამფუძნებელი, მონაწილეობს თეთრიწყაროს რაიონის სოფლებში კომპიუტერის ცოდნის გავრცელების ცენტრების შექმნაში. საარჩევნო პერიოდში, ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, კორპორაციამ გადაწყვიტა დროებით შეაჩეროს პროექტის ფარგლებში ნებისმიერი აქტივობა. „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაცია“ ყველა მსგავსი ტიპის საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან საგანმანათლებლო პროექტების დაფინანსებას საარჩევნო პროცესის დასრულების შემდეგ განაახლებს.

„საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაცია“ „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის“ შვილობილი კომპანიაა. კორპორაციამ, როგორც კომპიუტერის ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების ერთ–ერთმა დამფუძნებელმა თეთრიწყაროს რაიონის სოფლებში, კომპიუტერული ცენტრების კეთილმოწყობაზე პატრონაჟი წლის დასაწყისში აიღო. პროექტის ფარგლებში თეთრიწყაროს სოფლებში გარემონტდება და შესაბამისი ტექნიკით აღიჭურვება კომპიუტერის ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების ოფისები.

09.08.2012

„საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაცია“ (სსეკ) 2005 წლის ივლისში დაფუძნდა. ამჟამად ჯი-აი-ჯი კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია. სსეკ-ის მთავარი სტრატეგიული ბიზნეს ერთეული მოიცავს ელექტროენერჯის გამომუშავებას და ბუნებრივი აირის რეალიზაციას. დღეისათვის სსეკ ამუშავებს 8 მცირე ჰიდროელექტროსადგურს საქართველოში და სტრატეგიული მნიშვნელობის თბოელექტროსადგურს, რომელიც მდებარეობს გარდაბნის რაიონში და უზრუნველყოფს საქართველოს მნიშვნელოვან ენერგორეზერვს. „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის“ დამფუძნებელია დავით ბეჟუაშვილი.

